



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 26
26/12/2016

26-06-4-201612261837



დადგენილება №26

2016 წლის 23 დეკემბერი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2016/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდევლების ნაწილში **225 150 ლარით**:
გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **25 150 ლარით**;
კერძოდ:

ა) არაფინანსური აქტივების კლება, არაწარმოებული აქტივები, მიწა (ორგანიზაციული კოდი 3141) – **25 150 ლარით**;

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **200 000 ლარით**:

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის #2501 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში. გაიზარდოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი **200 000 ლარით**. მათ შორის:

ბ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **200 000 ლარი**;

შემცირდეს:

- გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქონელი და მომსახურება (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.2.) – 70 000 ლარით;
- დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურება (ორგანიზაციული კოდი - 01 01 – 2.2.) – 40 000 ლარით;
- ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 02 – 2.8.2.2.) – 5 000 ლარით;
- ვ) მოქალაქეთა ქონების რეგისტრაციის ხელშეწყობა, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 03 06 – 2.8.2.1.18) – 5 000 ლარით;
- ზ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 03 04 – 2.2.10.14.) – 16 000 ლარით;

შესაზამისად გაიზარდოს:


- თ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 – 61.1.1.8.) – 200 000 ლარით;
- ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არაფინანსური აქტივების ზრდა, ვიდეო-აუდიო აპარატურის შეძენა (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 61.1.2.2.9.) – 15 000 ლარით;
- კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.7.3.1) – 9 530 ლარით;
- ლ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 01 01 – 2.7.3.1) – 620 ლარით;
- მ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურება (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.1.1.1.1.) – 108 000 ლარით;
- ნ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის ანაზღაურება (ორგანიზაციული კოდი - 01 01 – 2.1.1.1.1.) – 28 000 ლარით;

სულ გაიზარდოს 225 150 ლარით.

- 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
- 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო